მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
სასწავლო საბჭო

სხდომის ოქმი№3

ქუთაისი 27დეკემბერი, 2019წელი

სხდომას ესწრებოდნენ :
<u>თავმჯდომარე:</u> დეკანოზი ირაკლი ახალაძე – გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი

<u>სასწავლო საბჭოს წევრები:</u>

1. მღვდელიმიქაელ კვანტალიანი– პრორექტორი;
2. დეკანოზი პეტრე გაბუნია –აკადემიის ფაკულტეტის (მაგისტრატურის) დეკანი ;
3. მალხაზ მურუსიძე – მინარიის (ბაკალავრიატის) დეკანი ;
4. ლალი აბდალაძე –ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი ;
5. დიაკონი მაქსიმე ჩხეიძე –რელიგიათმცოდნეობის კათედრის გამგე;
6. ნიკოლოზ გვილავა – დოგმატური ღვთისმეტყველებისა და პატროლოგიის კათედრის გამგე;
7. ლევან ტყეშელაშვილი –საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე;
8. ჯონდი ქართველიშვილი –ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე;
9. დეეკანოზი ნიკლოზ ნიკოლაიშვილი – ბიბლიეისტიკისა და ლიტურგიკის კათედრის გამგე
10. მარიამ ნემსაძე –უცხო ენათა კათედრის გამგე ;
11. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი –აკაკი გოლეთიანი;
12. ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი – ზაზა სირბილაშვილი;

სასწავლო საბჭოს სხდომის პასუხისმგებელი მდივანი: ნატალია ფარჯანაძე

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და გამოაცხადა დღის წესრიგი:
1.გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტრატეგიული განვითარარების გეგმის განხილვა - დამტკიცება;
2. გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტრატეგიულიგანვითარარების 3 წლიანი სამოქმედო გეგმის განხილვა - დამტკიცება;
3. გელათის სასულიერო აკადემია (ფაკულტეტზე) <u>პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე</u> ცოტნე ჩხეიძის თეოლოგიის მიმართულებიით დანიშვნა.
4. გელათის სასულიერო აკადემია (ფაკულტეტზე) <u>პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე</u> ირაკლი ლორთქიფანიძის თეოლოგიის მიმართულებიით დანიშვნა.
5. გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროგრამების: თეოლოგიის საბაკალავრო, ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკლავრო პროგრამების და თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დამტკიცება.

სხდომის მდივანმა მოახსენა სხდომის თავმჯდომარეს, რომ საწავლო საბჭოს წევრებს,მასალებიდღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან

დაკავშირბით,გასაცნობად და შემდგომი განხილვისათვის მოსამზადებლად წინაწარ ჰქონდათ გადაცემული.

თავმჯდომარემ აღნიშნა: ბოლო პერიოდში გსას საქმიანობისას მიღწეული შედეგების გაანალიზებით და შექმნილი ინფორმაციის გათვალისწინებით გამოიკვეთაძლიერიდასუსტიმხარეები,შეფასდაგანვითარებისშესაძლებლობები და რისკები, რის შედეგადაც, შესაძლებელი გახდა სტრატეგიული მიმართულებების, მიზნების და მათ მისაღწევად ამოცანების დასახვა და მათი გადაჭრის აუცილებლობა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე აუცილებელია დამტკიცდეს:

1.გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტრატეგიული განვითარარების გეგმა.

2. გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტრატეგიული განვითარარების 3 წლიანი სამოქმედო გეგმა;

რაც შეხება დღის წესრიგის მესამე და მეოთხე საკითხს, პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევად წარმოდგენილი კანდიდატურების საკითხის გადაწყვეტა აუცილებელია გსას მიერ სასწავლო პროგრამების მაღალ აკადემიურ დონეზე წარმართვისათვის.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის გადწყვეტის დადებითად გადაწყვეის მნიშველობა ფაქტობრივად წარმოადგენს სამომავლოდ პროგრამების სწორად და წარმატებით განხორციელების წინაპირობას.

მოისმინეს:

სასწავლო საბჭოს სხდომის თავმჯდომარის კურთხევით, გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსასურის უფროსმა: ზაზა სირბილაშვილმა, დამსწრე წევრებს მოახსენა წინამდებარე დოკუმენტების, ასევე პროფესორის აკად. თანამდებობაზე წარმოდგენილი კანდატურებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

აზრი გამოთქვეს:

1. მღვდელმა მიქაელ კვანტალიანმა, დეკანოზმა პეტრე გაბუნიამ, მალხაზ მურუსიძემ და ლალი აბდალაძემ რომლებიც დაეთანხმნენ დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა შეკითხვით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შენიშვნები ან წინადადებები წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით.

წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან – სტრატეგიული განვითარარების გეგმის, სტრატეგიულიგანვითარარების 3 წლიანი სამოქმედო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ რაიმე შენიშვნები ან წინადადებები არ გააჩნდათ. ასევე არ გამოუთქვავთ რაიმე წინადადება წარმოდგენილ კანდიდატურებთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა საბჭოს წევრებს კენჭი ეყარათ:

3. წინამდებარე აქტებში ცვლილებები და დამატებები შესაძლებელია განხორციელდეს, სასწავლო საბჭოზე საკითხთა განხილვის პროცედურების დაცვით.

<u>თავმჯდომარე:</u> გელათის საუნივერსიტეტო
აკადემიისა და სემინარიის რექტორი
დეკანოზი ირაკლი ახალაძე ----------

<u>სასწავლო საბჭოს პასუხისმგებელი სხდომის მდივანი:</u>

ნატალია ფარჯანაძე ----------

212917780